საქართველოს მთავრობის

დადგენილება №56

2020 წლის 27 იანვარი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/02/2014, 040170020.10.003.017740) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის ცხრილი №4 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**

ცხრილი №4

II კლასის მსუბუქი ავტომობილი	
ცხენის ძალა არანაკლებ	105
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი
სიგრძე არანაკლებ	4483
სიგანე არანაკლებ	1760
სიმაღლე არანაკლებ	1435
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება	

ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ მოდიფიკაციაზე აღებული შესაბამისი ქრაშტესტის სერტიფიკატი	NCAP (ევრო ქრაშ ტესტი), IIHS (ამერიკული ქრაშ ტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრაშტესტი)
ელექტრო შუშები	ოთხივე
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 4 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS
აუცილებელი მოთხოვნა	უკანა საქარე მინის ელ. გათბობა